

## დანართი

კომპანია უოლნატს.ჯი, უკვე რამდენიმე წელია, საგარეჯოს რაიონში, გიორგიწმინდის მიწებზე ანვითარებს ჩენდლერის ჯიშის კაკლის პლანტაციებს. ამ დროისათვის გაშენებული გვაქვს 85 ჰა ბაღი, სადაც დარგულია 55 ათასამდე ძირი ხე (23.000 კაკლის; 31.000 ალვის საქარე) და დასაქმებულია 50-მდე ადგილობრივი მოსახლე.

მომავალი წლის იანვარ-თებერვალში დაგეგმილი გვაქვს კიდევ 132 ჰა მიწის ნაკვეთების განაშენიანება, რაც მეტ და უკეთეს წყალმომარაგებას მოითხოვს.

უახლოეს წარსულში საქართველოს მელიორაციისაგან მივიღეთ ნებართვა მელიორაციის არხის (კოდ:) გამოყენებაზე. რომელსაც ჩვენ დამატებით დავუერთებთ 1,1 კმ სირგმის მელიორაციის მილს, რომლის მეშვეობითაც მივიყვანთ სარწყავ წყალს ჩვენი მიწის ნაკვეთებამდე -- თუკი, თქვენი სამინისტროდან მივიღებთ ნებართვას წყალაღებაზე მდინარე ივრიდან, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია ჩვენი ბაღებისა და საქმიანობისათვის.

ძალიან გვახარებს ის ფაქტი, რომ მიუხედავად კოვიდ19 პანდემიის დაუნდობელი პირობებისა, 2021 წლის დასაწყისში გვეძლევა შესაძლებლობა რეგიონის განვითარებაში დამატებით (მცირედი) წვლილი შევიტანოთ.

შესაბამისად, ასეთ რთულ დროს, ძალიან გვესაჭიროება თქვენი თანადგომა ქვეყანაში აგროსექტორის განვითარების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ არსებული გარემოება და მხარი დაგვიჭიროთ

პატივისცემით

[www.walnuts.ge](http://www.walnuts.ge)